

როგორ ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თუ როგორ წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას მისი მთავარი მანდატის - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფად. მონეტარული პოლიტიკის განხორციელება საქართველოში ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს ეყრდნობა, რომელიც ფასების სტაბილურობის მისაღწევად საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაა. ამ რეჟიმის ფარგლებში საქართველოს ეროვნულ ბანკს წინასწარ აქვს განსაზღვრული ინფლაციის თარგეთი - მიზნობრივი მაჩვენებელი და მონეტარულ პოლიტიკას იმგვარად წარმოადგენს, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მასთან ახლოს იყოს.

განალიზებულია თუ რას გულისხმობს მონეტარული პოლიტიკა, რა მოიაზრება ფასების სტაბილურობის განმარტებაში. ასევე, თუ როგორ ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას.

ნაშრომში განხილულია ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის უპირატესობები - ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელის განსაზღვრა, პროგნოზირებისა და მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკის ანალიზის სისტემა და კომუნიკაცია. აღსანიშნავია, რომ მონეტარული პოლიტიკის სხვა რეჟიმებთან შედარებით, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის ერთ-ერთ უპირატესობას სწორედ მისი კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს. სწორედ წინასწარ გამოცხადებული კონკრეტული მიზნობრივი მაჩვენებელი იძლევა საშუალებას, რომ ზუსტად განისაზღვროს ცენტრალური ბანკის მთავარი მიზანი და იმავდროულად მონეტარული პოლიტიკის მომავალი ცვლილებების შესახებ სწორი მოლოდინები შეიქმნას.

სტატიაში ასევე საუბარია მონეტარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპებზე. მათ შორის, წარმატებული და ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა.

*კონსტანტინე ბარაბაძე
სტუდ-ს დოქტორანტი*

განხილულია თუ როგორ ხდება მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღება და პრაქტიკაში განხორციელება. ასევე, თუ რა ინსტრუმენტებს იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, ფასების სტაბილურობა, ინფლაცია, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი, საპროცენტო განაკვეთი, მიზნობრივი მაჩვენებელი, ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა, ცენტრალური ბანკის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, კომუნიკაცია.

ძირითადი ტერმინები

საქართველოს ეროვნული ბანკი ქვეყნის ცენტრალური ბანკია, რომლის სტატუსი ქვეყნის კონსტიტუციით არის განსაზღვრული. ეროვნული ბანკის მთავარი მანდატი ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას წარმოადგენს და ახორციელებს საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია, მის ხელთ არსებული მარეგულირებელი და მონეტარული ინსტრუმენტებით უზრუნველყოს მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ძირითადი ფუნქციებისა და მიზნების შესრულება.

საქართველოს ეროვნული ბანკი მისი საქმიანობის უმთავრესი მიზნის - ფასების სტაბილურობის მისაღწევად და ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული, ინფლაციის საპროგნოზო და საქართველოს ეკონომიკის ზოგადი მაკროეკონომიკური მოდელით.

ფასების სტაბილურობა გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის

არსებობას, რაც აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის. ფასების სტაბილურობა, ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას მოიაზრებს. მაღალი და მერყევი ინფლაცია ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს, რამდენადაც გაურკვევლობას ქმნის. ეს კი აფერხებს ახალი ინვესტიციების განხორციელებას და ზრდის უმუშევრობას ქვეყანაში. მეორე მხრივ, დეფლაციური (პროდუქტებისა და მომსახურების ფასების შემცირების გრძელვადიანი პროცესი) პროცესებიც ეკონომიკისათვის ზიანის მოტანია. ამგვარად, ოპტიმალურია ფასების საერთო დონის დაბალი ტემპით ზრდა.

დღეისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი საქართველოში 3 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ ინფლაციის თარგეთირების შემოღების საწყის ეტაპზე ეს მაჩვენებელი 6 პროცენტი იყო. 2015 წლიდან მოყოლებული მიზნობრივი ინფლაცია 5 პროცენტამდე, ხოლო 2017 წელს 4 პროცენტამდე შემცირდა. 2018 წლიდან კი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტით არის განსაზღვრული და ამ ეტაპზე ცენტრალური ბანკი მიზნობრივი მაჩვენებლის შეცვლას არ გეგმავს.

პირითადი ნაწილი

მონეტარული პოლიტიკა ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია, რომელსაც მთელს მსოფლიოში ახორციელებენ ცენტრალური ბანკები, ანუ საქართველოში - საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი მიზანი კი ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა.

საბაზრო ეკონომიკებში ფასებზე მოქმედი ფაქტორები მუდმივად ცვალებადია და საერთო ფასების დონე გარკვეულ რეგულირებას საჭიროებს. სწორედ ამას არეგულირებს მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ერთობლივ მოთხოვნაზე, ანუ ქვეყანაში ჯამური ხარჯვის მოცულობაზე, ზემოქმედების საშუალებაა. მონეტარული პოლიტიკა, საპროცენტო განაკვეთების მართვით, ცვლის საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნას და ამ გზით ორიენტირებულია მისი საბოლოო ამოცანის მიღწევაზე, რომელიც, როგორც წესი, ფასების სტაბილურობაა.

საინტერესოა აგხსნათ რა მოიაზრება ფასების სტაბილურობაში. საბაზრო ეკონომიკის

პირობებში ფასები მუდმივად იცვლება. უფრო მეტიც, ცალკეული პროდუქტების ფასების ცვლილება სწორედ ის სიგნალია, რაც მწარმოებლებს და მომხმარებლებს ეუბნება, თუ საითკენა არის მათი რესურსების მიმართვა ოპტიმალური. ამდენად, ფასების სტაბილურობის განმარტება გულისხმობს არა თითოეული პროდუქტის ფასის სტაბილურობას, არამედ ჯამურად ფასების გასაშუალოებული მაჩვენებლის სტაბილურობას. ამასთან, მცირე მასშტაბით ფასების საერთო დონის ზრდა, ანუ ზომიერი ინფლაცია, ეკონომიკური ზრდისა და, შედეგად, მოსახლეობის შემოსავლების მატების თანამდევია მოვლენაა. შესაბამისად, ფასების სტაბილურობაში იგულისხმება საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონე, რომელიც იცავს საუკეთესო ბალანსს შემოსავლების გრძელვადიან ზრდასა და ფასების მატებას შორის. ამ ყველაფრის ფონზე, ფასების სტაბილურობის საუკეთესო განმარტებაა - დაბალი და სტაბილური ინფლაცია.

დაბალი და სტაბილური ინფლაციის შენარჩუნებაზე ორიენტირებული ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკა ამცირებს ეკონომიკური ზრდის ციკლურ მერყეობას და ამ გზით გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას ხელს უწყობს.

მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკი იყენებს მის ხელთ არსებულ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომელთა მეშვეობით გავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთებსა და ფულის მიწოდებაზე.

ახლა იმის შესახებ თუ როგორ ახორციელებს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა, მსოფლიოში ბევრი ცენტრალური ბანკის მსგავსად, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს ეფუძნება. ეს რეჟიმი მსოფლიოში 90 - იანი წლების დასაწყისიდან გავრცელდა და ინფლაციის ეფექტიანად შებოჭვაში საკმაოდ წარმატებული გამოდგა. საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე 2009 წელს გადავიდა. ამ რეჟიმის ძირითადი ელემენტებია: ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა, პროგნოზირებისა და მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკის ანალიზის სისტემა და კომუნიკაცია.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს

ცენტრალური ბანკის მიერ წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალოვადიანი პერიოდისთვის, რომელიც საქართველოში ამჟამად 3 პროცენტია. როგორც წესი, მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი შეიძლება ან აღემატებოდეს ან ჩამორჩებოდეს ამ დონეს. თუმცა ინფლაციის გამოცხადებული მიზნობრივი მაჩვენებელი ეკონომიკისთვის საორიენტაციო ინდიკატორის ფუნქციას ასრულებს, რომელიც გვეუბნება, თუ რა მიმართულებით უნდა ველოდეთ ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ცვლილებას ისე, რომ მომავალში ინფლაციის მაჩვენებელი მოძრაობდეს მისი მიზნობრივი დონისკენ.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის დროს მთავარი ინსტრუმენტი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია. ეროვნული ბანკის მიერ პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება შემდეგ სხვადასხვა არხებით გადაეცემა საკრედიტო აქტივობას, ერთობლივ მოთხოვნას და, საბოლოოდ, ინფლაციას. თუმცა ამ გადაცემის პროცესს გარკვეული დრო სჭირდება, დაახლოებით 1-1.5 წელი. ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილებები არა მიმდინარე ინფლაციის მაჩვენებელს, არამედ მის საპროგნოზო მაჩვენებელს ეფუძნება. მაგალითად, როდესაც საშუალოვადიან პერიოდში საპროგნოზო ინფლაცია აღემატება მიზნობრივ მაჩვენებელს, ეროვნული ბანკი გაამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას და გაზრდის საპროცენტო განაკვეთს. გაზრდილი პოლიტიკის განაკვეთი სესხებისა და დეპოზიტების განაკვეთებს გადაეცემა, რაც, ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვის გავლით, საბოლოოდ ინფლაციას ამცირებს.

როგორც ხდება მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღება და პრაქტიკაში განხორციელება?

მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღება მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ ხდება, რომელიც, როგორც წესი, წელიწადში 8-ჯერ იკრიბება. გადაწყვეტილებების მიღება ინფლაციის პროგნოზზე და მაკროეკონომიკური მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით ხდება.

ეროვნული ბანკის საოპერაციო ორიენტირი არის ბანკთაშორის ბაზარზე არსებული მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომლის ცვლილება გადაეცემა სხვა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს, შემდგომ - ეკონომიკური აგენტების მხარჯველობით ქცევას და საბოლოოდ -

ფასების დონეს. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მთავარ საოპერაციო მიზანს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მართვა წარმოადგენს. ამისათვის, თავის მხრივ, აუცილებელია, რომ ლიკვიდობა ბანკთაშორის ბაზარზე არც ჭარბი იყოს (რადგან ამ დროს საპროცენტო განაკვეთები ჩამორჩება სასურველ დონეს) და არც დეფიციტური (რადგან ამ დროს საპროცენტო განაკვეთი აღემატება სასურველ დონეს). აღნიშნული კი ლიკვიდობის მართვის ინსტრუმენტებით მიიღწევა.

ახლა გავარკვიოთ რა არის ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის სხვა აუცილებელი ელემენტები. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან კომუნიკაცია და გამჭვირვალობა. ინფლაციის მოლოდინები და ინფლაციის მიზნობრივ დონესთან მათი ახლოს შენარჩუნება გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების ქცევაზე და, საბოლოოდ, ფაქტობრივი ინფლაციის მაჩვენებელზეც. ხოლო მოლოდინების სამართავად მნიშვნელოვანი ელემენტია საზოგადოებასთან რეგულარული და ეფექტური კომუნიკაცია მონეტარული პოლიტიკის მიზნებისა და განხორციელების შესახებ და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. მონეტარული პოლიტიკის სხვა რეჟიმებთან შედარებით, ინფლაციის თარგეთირების ერთ-ერთ უპირატესობას სწორედ მისი კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს, ვინაიდან წინასწარ გამოცხადებული ერთი მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა ცენტრალური ბანკის მთავარი მიზანი ზუსტად განისაზღვროს და მონეტარული პოლიტიკის მომავალი ცვლილებების შესახებ სწორი მოლოდინები შეიქმნას.

აქვე ორიოდ სიტყვით შევეხეთ მონეტარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპებს. ეს არის დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. აღსანიშნავია, რომ წარმატებული და ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობაა. როგორც ცნობილია, მოლოდინები ინფლაციის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია და სწორი ინფლაციური მოლოდინის პირობებში ფასების სტაბილურობის შენარჩუნება ყველაზე ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯებით მიიღწევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ინფლაციის მოლოდინი მიზნობრივი ინფლაციის შესაბამისია,

ფასების სტაბილურობის მისაღწევად საკმარისია მონეტარული პოლიტიკის ზომიერი ცვლილება. თუკი ინფლაციის მოლოდინები მაღალია, ცენტრალურ ბანკებს ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად უწევთ საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ეკონომიკისა და დასაქმების შეზღუდვას იწვევს. ასევე ხდება პირიქითაც: თუ მომავალში ფასების შემცირებაა მოსალოდნელი, კომპანიები ინვესტიციებისაგან თავს იკავებენ, რაც, ასევე, ამცირებს ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას. იმისთვის, რომ ინფლაციის მოლოდინები იყოს მიზნობრივი ინფლაციის შესაბამისი, აუცილებელია, რომ ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა - ფასების სტაბილურობა - დამოუკიდებელი იყოს მთავრობის სხვა მიზნებისაგან, როგორებიცაა, მაგალითად, მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა და უმუშევრობის შემცირება. სხვა შემთხვევაში, შეიძლება გაჩნდეს მოლოდინი, რომ ეროვნულ ბანკი ეცდება მაღალი მოულოდნელი ინფლაციის ხარჯზე მიიღოს მოკლევადიანი ნახტომი ეკონომიკურ ზრდაში. თავის მხრივ, რადგან ინფლაციით სტიმულირებული ეკონომიკური ზრდა დროებითია და, როგორც წესი, ამას ეკონომიკის ვარდნა და უფრო მაღალი ინფლაცია მოყვება, ასეთი მოლოდინი თავისთავად ამცირებს როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან ზრდას და უარყოფითად აისახება დასაქმებაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს და პარლამენტს წარუდგენს წლიურ ანგარიშს, სადაც შეჯამებულია ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებები, როგორც მონეტარული პოლიტიკის ასევე საზედამხედველო და ყველა სხვა ძირითადი ფუნქციის მიმართულებით.

მონეტარული პოლიტიკის მთავარ საკომუნიკაციო დოკუმენტს მონეტარული პოლიტიკის ანგარიში წარმოადგენს, რომელიც წელიწადში ოთხჯერ ქვეყნდება. მასში მოცემულია ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური პროგნოზები და განხილულია მიღებული გადაწყვეტილებების მიზეზები. მასში დეტალურადაა გაანალიზებული ინფლაციის მაჩვენებლის პროგნოზები,

რომლებიც გადამწვევტ როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის ფორმირების პროცესში. რეპორტში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ასევე ეკონომიკური ზრდის პროგნოზებს. “მონეტარული პოლიტიკის ანგარიშში” მოცემულია ქვეყნის მაკროეკონომიკური ანალიზი. კერძოდ, სამომხმარებლო ფასების ცვლილების დინამიკა შესაბამისი საანალიზო პერიოდისათვის, მასზე მოქმედი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები, საფინანსო და სავალუტო სექტორის მიმოხილვა. აღსანიშნავია, ისიც რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ცენტრალური ბანკების იმ მცირე რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის საპროგნოზო ტრაექტორიას აქვეყნებს.

გარდა ამისა, მონეტარული პოლიტიკის ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე პრესრელიზის სახით. ამასთან ერთად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ეროვნული ბანკი პერიოდულად აქვეყნებს სხვადასხვა სახის ანალიტიკურ ანგარიშებს, როგორებიცაა თვის მიმოხილვა, მიმდინარე მაკროეკონომიკური ინდიკატორები, ფინანსური სექტორის ინდიკატორები და სხვა.

დასკვნა

ამრიგად, სტატიაში ჩვენ წარმოვადგინეთ თუ როგორ ახორციელებს და რა გზას გადის საქართველოს ცენტრალური ბანკი მონეტარული პოლიტიკის განსახორციელებლად. რას ეფუძნება მონეტარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას, რომელიც უმნიშვნელოვანესია ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკისათვის წარმოებისთვის. კომუნიკაცია, ცენტრალური ბანკისადმი ნდობის მნიშვნელოვანი ასპექტია. რაც უფრო გახსნილი და ტრანსპარენტულია ცენტრალური ბანკი, მით მეტ ნდობას იწვევს საზოგადოებაში. ამით გასაგები ხდება თუ რა საქმიანობს ცენტრალური ბანკი, ანუ რას აკეთებს, როგორ და რატომ აკეთებს. 90-იან წლებამდე ცენტრალური ბანკებში გავრცელებული შეხედულება, რომ მონეტარული პოლიტიკის განმახორციელებლებმა რაც შეიძლება ნაკლები უნდა ილაპარაკონ, მოგვიანებით სრულიად განსხვავებულმა მიდგომებმა შეცვალეს. მონეტარული თარგმთირების რეჟიმი

თავის მხრივ მოიაზრებდა, რომ კომუნიკაცია იყო ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებდა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გავლენას. სპეციალისტების მოსაზრებით, სწორედ მონეტარული თარგმთიერებიდან ინფლაციის თარგმთიერების რეჟიმზე გადასვლამ დაადასტურა კომუნიკაციის როგორც მძლავრი ინსტრუმენტის საჭიროება, რადგან ინფლაციის თარგმთიერების დროს კომუნიკაცია უფრო მარტივი გახდა. მისი მთავარი უპირატესობაც იმაშია, რომ ცენტრალურმა

ბანკებმა ტრანსპარენტულად განუცხადონ გეგმები აგენტებს რადგან მათ მიერ პოლიტიკის განჭვრეტის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად ამცირებს გაურკვევლობას. რაც უფრო ეფექტურია მონეტარული პოლიტიკა, ფასების სტაბილურობის მიღწევა მით უფრო დაბალი საზოგადოებრივი დანახარჯით არის შესაძლებელი. შესაბამისად, ცენტრალური ბანკები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო დოკუმენტი“, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2019 წელი;
2. „წლიური ანგარიში“, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2019 წელი;
3. „ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები“, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2008
4. „მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია“, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2011 წელი
5. <https://nbg.gov.ge/page/ბანკის-შესახებ>
6. <https://nbg.gov.ge/page/რას-ვაკეთებთ>
7. <https://nbg.gov.ge/page/მონეტარული-პოლიტიკა>

How does the National Bank of Georgia implement Monetary Policy?

*Konstantine Barabadze, PhD student
Georgian Technical University*

Summary

The article discusses the ways in which the National Bank of Georgia conducts its monetary policy to sustain its main mandate of price stability. The monetary policy pursued in Georgia is based on the inflation targeting regime, the best international practice for achieving price stability. Under this regime, the National Bank of Georgia has a pre-defined inflation target and implements the monetary policy in such a way that inflation stays close to it in the medium term.

The paper analyzes the notions of monetary policy and price stability, and explains how the National Bank of Georgia implements monetary policy.

Further, the paper discusses the advantages of the inflation targeting regime, providing the definition of the inflation target, the system of forecasting and forward-looking policy analysis, and communication. One of the advantages of the inflation targeting regime compared to other monetary policy regimes is its ease of communication. It is a pre-announced specific target that allows the central bank to set the key objective accurately, while forming the right expectations for future changes in monetary policy.

The article also discusses the basic principles of monetary policy, saying that the independence of the central bank is one of the necessary preconditions for a successful and effective monetary policy, along with accountability and transparency.

The paper discusses how monetary policy decisions are made and implemented in practice, and the instruments used by the National Bank of Georgia in implementing monetary policy.

Key words: Monetary Policy, Price Stability, Inflation, Inflation Targeting Regime, Interest Rate, Inflation Targeting, Central Bank Independence, Central Bank Transparency and Accountability, Monetary Policy Report, Communication.